

45 / 2
897



უტურნალ „ჯეჯილისა“

I	ლომი ლექსი—შ. მღვიმელისა	3
II	პატარა ლორდის თავ-გადასაყალი (დასასრული) ე—გოსი .	4
III	ამერიკელი ბავშვი, ტელლო აპერი (თარგმანი) ირაკლისა .	18
IV	ორი ობოლი: ედიშერა და გიშერა (დასასრული) — თ. კან- დელაკსა	22
V	გლეხის ბიჭი, ლექსი — იანა ბედი: შიდასა	37
VI	ქალღმრთელის ამბავი (დასასრული)—თეოდ. კანდელაკისა . . .	39
VII	კაინი—ძმის მკვლეელი — თ. კანდელაკისა	48
VIII	რეზინა—ჰეტერეა	52
IX	გლეხი და წყლის ქაჯი—სესილია	55
X	ოქროები	56
XI	წერილ მანი: ანდრე, ჯეჯი, ზმები, ანაგრამა, ეპიტეზისი, რებუსი და სხვა	57

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოებისა-
ქართველოს ეზარხოსის დამტყიცებისა, თფილისის სა-
ეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს გადასწყვიტა ქართუ-
ლი საყმაწვილო უტურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს
ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სა-
ხმარებლათ.



ს ა უ მ ა წ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ XII

წელიწადი მეცხე

ტ უ ი ლ ი ს ი

დგამბა გ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротинианца. Гол. ар., л. А 41.
1897.

საქართველოს
საგარეო საქმეთა
მინისტროს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
საგარეო საქმეთა
მინისტროს
ბიბლიოთეკა


Дозволено цензурою Тифлисъ, 5-го Декабря 1897 года.


III M

საქართველოს
საგარეო საქმეთა
მინისტროს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
საგარეო საქმეთა
მინისტროს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
საგარეო საქმეთა
მინისტროს
ბიბლიოთეკა





ლ ო მ ი.




ეფე ვარ ყველა ცხოველთა,
მამაცი გმირი, ძლიერი,
ჩემს სილამაზეს არ ვკარგავ,
რაც გინდა ვიყო ხნიერი.

—

შიშის ზარს დავცემ ყველასა,
თუ ერთი დავიღვრიალე;
ვაი მას, სამტროთ თვალები
ვისაც კი გადვუბრიალე...

—

მიყვარს ცხოვრება იქ, სადაც
მზის თვალი მუდამ ტრიალებს,
სად ზამთარ-ზაფხულ ბუნება
კვავავს და ველი შრიალებს...



შ. მღვიმელი.

კახარა ლორდის თავ-ბადსახალი.

XIII.

დიკი საშველათ მოდის.

(დასასრული)



აბეჭდეს თუ არა ინგლისელმა გაზეთებმა ღორინკორტში მომხდარი ამბავი, ამერიკულმა გაზეთებმა მაშინვე გადაბეჭდეს ყველაფერი. საკვირველი იყო, რომ არც ერთ გაზეთში სრული მართალი არ ეწერა; ერთში ამბობდნენ, ცეცხლი ძუძუ მწოვარა ბავშვი, მეორეში — ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი და მასთან ჭკუით და განვითარებით შესანიშნავი, მესამეში — გრაფ ღორინკორტის ნათესავი არც კია, ამერიკული გაზეთების გამყიდველია; ახლათ გამოჩენილ მის მეტოქეზდაც ბევრს წერდნენ; ამას კი ყველა გაზეთები ერთხმად იმეორებდნენ, გრაფს ჰქულის თავისი ახალი რძალი და მის შვილს არ თელის თავის შვილიშვილათო. მისტერ გობსი და დიკი ყველა ამას ერთთა კითხულობდნენ და ძალიან აღელვებული იყვნენ ორივე; იმათ ახლა გაიგეს, რა დიდი და ცნობილი კაცი ყოფილა გრაფ ღორინკორტი, რა მდიდარი და სახელოვანი ბაბუა ჰყოლია მათ პატარა მეგობარს.

— რამე უნდა ეუშეელოთ ჩვენც! — იმეორებდა მისტერ გობსი. მაგრამ, წერილის მიწერის მეტი, ვერც ერთმა ვერაფერი მოახერხა. ორივემ ცალ-ცალკე დაწერა წერილი, მერე კი ერთმანეთს წაუკითხეს და, რა მისწერა დიკმა:

„ძვირფასო მეგობარო, მე არ დამეწეებია ყველა ის სიკეთე, რაც წაგლის წინ მიყავით და გულით მსურს, რამენაირათ დაგეზმროთ. თუ სხვა აღარაფერი დაგჩენიათრა, ჩამოდით ისევ აქ და ჩემ

ამხანაგათ გახდით. ჩემი საქმე ძალიან კარგათ მიდის, თქვენთან ერთათ კიდე უკეთ წავა. სხვა სათქმელი აღარაფერი მაქვს.

დიკ ტიპტონი“

აი რა მისწერა გობსმა:

— „ძვირფასო ბატონო! თქვენი წერილიდან გავიგე, რომ თქვენი საქმე გლახათ მიდის. ეგ ისეთი საქმეა, რომ დიდი განსჯა უნდა; ნუ გეშინიათ, მაგის განსჯა მე ჩემ თავზე მიმიღია; ვექილს ვიშოვნო და ყველაფერს გამოვიკვლეე. თუ არაფერი გამოვიდა და მაგათ გეაჯობეს, მაშინ ნუ დაივიწყებთ, რომ მე კარგი დუქანი მაქვს, შეგიძლიათ შემომამხანაგდეთ როცა გაიზრდებით; მანამდის კი ჩემი სახლის კარი თქვენთვის ყოველთვის ღია არის.

თქვენი მოყვარული გობსი.“

— თუ ლორდი არ გახდა, მისი მომავალი მაინც საიმედო არის! — თქვა იმ საღამოს გობსა.

— მართალია! — დაეთანხმა დიკიც, — არც მე დაივიწყებ მას, სულით და გულით მიყვარს და მეყვარება!

მეორე დღეს, როცა დიკი ქუჩაში იდგა და გამვლელ-გამომვლელებს ელოდა, მას მიუახლოვდა ახალგაზდა ვექილი, რომელიც ყოველ დღე აწმენდინებდა წალებს. სანამ დიკი წალას უპრიალებდა, ვექილი ნახატებიან გახეთს ჰკითხულობდა. როცა გაათავა, ფურცელი დიკს გაუშვირა.

— აი, წაიღეთ დიკ და წაიკითხეთ, როცა დრო იშოვნოთ. — უთხრა მან. — ინგლისელი სასახლეც არის აქ დახატული და გრავ დორინკორტის ახალი რძლის სურათიც; რა ლამაზი ქალია და რა შევნიერი სქელი თმა აქვს! აი, აქედან დაიწყეთ კითხვა; გრავ დორინკორტზე და ლორდ ფაუნტელროიზე დაწერილი... ჰა, რა მოგივიდათ, დიკ?

აღელვებული დიკი გაშტერებით დაჩერებოდა ნახატებს, მის სახეს სიცოცხლის ფერი აღარ ედგა.

— რამ გაგაკვირვათ დიკ? — ჰკითხა ვექილმა, — რამდენი უნდა მოგცეთ წალის გაწმენდაში?

დიკმა არა უპასუხა რა, მან მხოლოდ იმ სიტყვებზე მიუთითა, რომელიც ახალგაზდა, ლამაზ, შავ თვალებიან და სქელ თმთან ქალის სურათს ქვეშ იყო დაწერილი: — „ახალი ღოღრდ ფაუნტელროის დედა“.

— ის არის, ის! — დაიყვირა ბოლოს წაღების მწმენდელმა. — მე ამ ქალს უკეთ ვიცნობ, ეივრე თქვენ!

ვექილმა გაიცინა.

— სად შეხვედრიხართ, დიკ, — ხუმრობით ჰკითხა მან. — ნიუიორკში თუ პარიჟში?

დიკმა მის დაცინვას ყურადღება არ მიაქცია, საჩქაროდ მოაგროვა წაღების საწმენდები, ერთი კიდევ წაილაპარაკა: — „ვიცნობ, ვიცნობ, დღეს კარგი რამ გავიგეო!“ და გიჟსავეით გაჰქანდა გოზის დუქნისაკენ.

გოზსი გაკვირვებისაგან აღარ იყო, როცა დიკი გიჟსავეით შამოვარდა ოთახში, დაადგო გაზეთი სტოლზე და სულის ამოთქმაც ევლარ მოახერხა.

— ჰა, ჰა, ჰა! — გაიცინა პატივცემულმა მედუქნემ. — ეგ რა მოგიტანიათ, დიკ?

— აი, დახედეთ! — უპასუხა დიკმა, — დახედეთ კარგათ ამ ქალს! აი, ეს არის ღოღრდის ცოლი, დიდებული ქალი! ტყუილია, ტყუილი! მომკალით, თუ ეს მინნა არ არის, მინნა! ვიცნობ, სადაც უნდა ენახო, ყოველგან ვიცნობ! ბენმაც იცის, აბა იმას ჰკითხეთ?

მისტერ გოზსი სავარძელში ჩაეშვა.

— აი, რაში ყოფილა საქმე! — წამოიძახა მან. — კი ვიცოდი, რომ ყველა ეს ინგლისელი დიდუკაცობას მოგონილი იყო, უნდოდათ ამერიკელი ბავში გაეცარცათ!

— არა, — უპასუხა დიკმა, — ეს სულ მაგის საქმეა, მაგ ქალის! მაგისაგან ყველაფერს უნდა მოელოდეს ადამიანი! ახლა გამახსენდა, ერთ გაზეთში ეწერა, ახლათ გამოჩენილ პატარა ღოღრდს ნიკაპზე რაღაც აჩნიაო... ის ისეთივე ღოღრდია, როგორიც მე! ბენის შვილია და სხვა არაფერი! ის ნიშანიც მინნამ დააჩნია, როცა მე მესროლა საინი და იმას კი მოარტყა!

დიკი ჰევიანი ბიჭი იყო; ქუჩაში ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავ-
ლა, დაკვირვება შესძინა; ახლა ძალიან აღელვებული, თანაც ძალიან
გახარებული იყო.

ის მაშინვე დაჯდა და ბენს წერილი მისწერა, წერილში ნახა-
ტებიანი გაზეთის ფურცელიც ჩადეა. ამავე დროს მისტერ გოზსი
ცედრიკს და გრაფს სწერდა; ჯერ წერა არ ვაეთავებინათ, რომ
დიკს ახალმა აზრმა გაუელვა თავში:

— იციტ!—მიუბრუნდა ის გოზსს.—ის ყმაწვილი, მე რომ ფუ-
რცელი მომცა, ვეკილია. არ ჯობს, რჩევა რომ ეკითხოთ?

მისტერ გოზსი ძალიან კმაყოფილი დარჩა დიკის მოხერხებით.

— საუცხოვოა!—თქვა მან.—ამ საქმეს უსათუოთ ეჭირება
ვეკილო!

მან ლუქანში თავის თანაშემწე დატოვა, თითონ კი, დიკთან ერ-
თათ, ვეკილთან წავიდა; ვეკილი ძალიან გააკვირვა ყველა იმან, რაც
არმა მეგობარმა შეატყობინა. ახალგაზდა რომ არ ყოფილიყო ის
ვეკილი, შეიძლება ყურადღებაც არ მიექცია მათი ნათქვამისათვის,
ისე მოუფიქრებელი იყო ყველა ეს, მაგრამ ჯერ ახალგაზდა იყო,
სხვა საქმე ბევრი არაფერი აწუხებდა და სიამოვნებით მოჰკიდა ამ
დიდ საქმეს ხელი.

— გვითხარით, რამდენ ფულს მოგვთხოვთ!—უთხრა გოზსმა.
ფულის გადახდა ჩემი საქმეა. აი, ჩემი ბინადრობა, ძალიან ჩაუყვირ-
დით საქმეს!

— კარგი!—უპასუხა ახალგაზდა კაცმა.—თუ საქმე მოვიგეთ,
დიდი სასარგებლო იქნება ჩემთვისაც და ლორდ ფაუნტელროისთვი-
საც; რაც უნდა იყოს, თუ არავის არგებს, ხომ არც არავის აწყენს
ეს ჩვენგან ატეხილი საქმე. მე გაზეთებში წავიკითხე, რომ ქალი
რალაცას ურევს, ნამდვილათ ვერ უთქვამს შეილის ხნოვანობა. ახ-
ლა, ჯერ დიკის ძმას მივწეროთ წერილა, მერე გრაფ დორინკორ-
ტის მოურავს.

მზის ჩასვლამდის ორი წერილი დაწერილი იყო და ორივე მი-

ემგზავრებოდა, ერთი მატარებლით კალიფორნიაში, მეორე გემით — ინგლისში. ერთი ბენთან მიდიოდა, მეორე მისტერ ხევიშამთან.

შუა ღამე გადასული იყო ამ ღირსშესანიშნავ დღეს, და გობსი და დიკი კი ისევ ღუქნის უკან პატარა ოთახში იჯდნენ და ამ საქმის შესახებ საუბრობდნენ.

XIV.

საკვირვლათ იცვლებოდა ცედრიკის ბედი; რამდენსამე წამის განმავლობაში ღარიბ ამერიკელ ბავშვისაგან დიდი მემკვიდრეობის პატრონ ლორდათ გადაიქცა, ახლა კი ისევ რამდენსამე წამის განმავლობაში უწინდელ მდგომარეობაში ჩაეარდა; საკვირველი არ არის, რომ ისევ ასევე მალე შეცვლილიყო ერთხელ კიდევ მისი ბედი და სიმდიდრე უკან დაბრუნებოდა!

ახლათ გამოჩენილი გრაფის რძალი უფრო ავი გამოდგა, ვიდრე ჭკვიანი; თავის ამბავს როცა უყვებოდა ხევიშამს, რამდენჯერმე შეცდა, ამაზე გული მოუფიდა, ყვირილი დაიწყო და კიდევ უფრო აირია; იქვი არ იყო, რომ ის მართლა ბევრის ცოლი ყოფილიყო, მერე ქმარს წაჩხუბებოდა, ფული გამოერთმია და დაშორებოდა, მაგრამ შვილის შესახებ ასე დაწვრილებით და ასე ნამდვილათ ვერ ეთქვა ყველაფერი; ვერც მისი ხანი დამტკიცებინა, ვერც ის ეთქვა კარგათ, სად დაებადა შვილი. ხევიშამმა არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ სწორეთ ამ დროს მიიღო წერილები გობსისა და ახალგაზდა ვექლისაგან. რა საოცარი ამბავი იყო! ხევიშამი და მოხუცი გრაფი მთელი საღამო წიგნთ საცავ ოთახში საუბრობდნენ ამ საქმის შესახებ.

— მაინც იქვი მქონდა იმ ქალზე! — ამბობდა მისტერ ხევიშამი. — ეჟი უფროსი ჩანდა იმ ხანზე, რომელსაც დედა მისი ამბობდა, მისი დაბადების დღეც ეშლებოდა. ყველას ის ეჯობინება, რომ ორივე ძმა ტიპტონი აქ გამოვიწეროთ და იმ ქალს წაუყუენოთ წინ. მაინც და მაინც ჭკუიანი არ არის, ისე შეეშინდება, რომ მაშინვე გამოტყდება.

მართლაც სწორეთ ასე მოხდა.

დრო გადიოდა; ხევიშამი ჩვეულებრივად დადიოდა იმ ქალთან, ისიც დამწვიდდა, ეტყობა, ვერაფერს მიმიხედენო და სულ უფრო და უფრო იმაღლებდა ხმას.

ერთ დილას ის მოსვენებით იჯდა თავის ოთახში, სასტუმროში. ამ დროს მოახსენეს, მისტერ ხევიშამი მოვიდაო; მისტერ ხევიშამიც უკან შემოჰყვა მსახურს, მასთან ერთად სამი სხვა კაციც შემოვიდა; ერთი იყო სულ ახალგაზდა, თითქმის ბავში, მეორე — ბევრად უფრო ხნიერი, დიდი, შეწვევებიანი კაცი, მესამე კი — თვით გრაფ დორინკორტი. ქალი წამოხტა და დაიკივლა; ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ამ ორი მოწმის მოყვანას კი არა. დიკმა კბილები დახჭინა.

— აი, სად ყოფილხარ, მინნა! — თქვა მან.

მისი ძმა ბენი კი ჩუმად მისჩერებოდა თავის ცოლს.

— ხომ იცნობთ ამ ქალს? — ჰკითხა მას ხევიშამმა.

— ვიცნობ! — უპასუხა ბენმა — და ვგეც მიცნობს!

ქალი გაბრაზდა და ხმა მაღლა ლანძღვა-გინება დაუწყო ორივე ძმას; დიკი მარტო იხჭინებოდა, ბენმა ზურგი შეაქცია.

— ხატის წინ შემოძლია დავიფიცო, რომ არ უტყუი! — უთხრა ბენმა ხევიშამს. — მაგის მამა პატიოსანი კაცია, დედა — გამოსახული მაგისტანა იყო; ის მოკვდა, მამა კი ცოცხალია და ისიც დამოწმებს ჩემ სიტყვებს.

უცებ ბენი სწრაფად მიბრუნდა ცოლისაკენ.

— სად არის ჩემი შვილი? — დაუყვირა მან. — იმას წაეყვან, შენი კი თვალთ დანახვაც აღარ მინდა, სადაც გინდა იქ წადი!

ამ დროს მეორე ოთახის კარები გაიღო და ეშხიანმა პატარა ვაჟმა გამოიხედა; ეტყობოდა, ხმა მაღალმა ლაპარაკმა მოიზიდა მისი ყურადღება. ბავშს კეთილი სახის გამომეტყველება ჰქონდა, ბენს ჰგავდა, ნიკაპზე ნიშანი ეტყობოდა.

ბენი მიუახლოვდა შვილს და აკანკალებული ხელი წაეწოდა პატარა ხელში.

— ღმერთს გეფიცებით, ეს ჩემი ტომია!—თქვა მან.—მე მას შენი ვარ!—მოუბრუნდა ის ბავშს.—სად არის შენი ქული? თან უნდა წაგიყვანო.

ბავშმა მაშინვე აიღო ხელში ქული და, ეტყობოდა, დიდი სიამოვნებით მიდიოდა ამ სახლიდან. ამ უკანასკნელ დროს იმდენი რა-მე უცნაური გადახდენოდა თავზე, რომ თითქმის არც კი გაუკვირდა ეს უცნობი კაცი საიდან არის ჩემი მამაო. დედა სრულებით არ უყვარდა, რადგანაც, ჩაიყვანა თუ არა ლონდონში, დედა მაშინვე სხვას მისცა გამოსაზრდელათ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ტომა ექვსი წლის გახდა, მივიდა მასთან, გამოუცხადა, მე დედა შენი ვარო და ღორინკორტისაკენ წამოიყვანა. ბავშს დედისაგან სიყვარული არ ენახა და არც თითონ უყვარდა.

ბენი კარებისკენ წავიდა თავის შვილიანა. კარებში შეჩერდა ხევიშამს მიუბრუნდა:

— თუ კიდევ დაგჭირდეთ, ხომ იცით, სად შეგიძლიათ ჩემი ნახვა,—მერე გავიდა და ბავშიც გაიყვანა.

მისი ცოლი მკედარსავეთ გაყვითლებული იდგა და სიბრაზისაგან სულიც ველარ მოეთქვა. გრაფი პირ-და-პირ მისჩერებოდა მას.

— დამშვიდდით, დამშვიდდით!—მოუბრუნდა ქალს მისტერ ხევიშამი.—გათვალა, აწი ველარაფერს მოახერხებთ.

ქალი მეორე ოთახში გავარდა და კარი გაიხურა.

— დიდ ხანს აღარ მოგაწყენსო თავს!—უთხრა მისტერ ხევიშამმა გრაფს.

მისი სიტყვა გამართლდა. რამოდენსამე საათს იქით ქალი მატარებელში ჩაჯდა და საუკუნოთ წავიდა ლონდონიდან.

გრაფი მაშინვე ჩაჯდა თავის ეტლში და მეეტლეს უბძანა, კორტ-ლოჯში წამოეყვანო.

— ახლა ჩვენი საქმე სულ სხვა ნაირათ წავა!—სიხარულით წაუჩურჩულა ტომასმა მეეტლეს.

ეტლი კორტ-ლოჯთან შეჩერდა. ცედრიკი დედასთან იყო. გრაფი პირ-და-პირ შევიდა სასტუმრო ოთახში, მისი თვალები ბრწყინ-


ნადენ, ის ჩვეულებრივზე მაღალი და თითქოს გაახალგაზრდავებული ჩნდა.

— სად არის ლორდ ფაუნტელროი? — ხმა მალლა იკითხა მან.

ქალბატონი ეროლი თავის ადგილიდან წამოდგა და საჩქაროთ ჰკითხა:

— არ სცდებით, გრაუ? — ნამდვილს ამბობთ?

გრაუმა ხელში ხელი სტაცა და სიყვარულით მოუქირა. — ნამდვილს! — უპასუხა მან და მეორე ხელი ცეცხლის დაადგა მხარზე.



— ფაუნტელროი! — მიუბრუნდა გრაფი შვილიშვილს. — ჰკითხე დედას, როდის გადმოვა ჩვენთან, სასახლეში?

ბავში კისერზე ჩამოეკიდა დედას.

— ჩვენთან უნდა იცხოვროს? ყოველთვის ჩვენთან? სიხარულით იკითხა მან.

ქალბატონმა ეროლმა გრაფს შეხედა.

— მართლა გსურთ ეგ? — ჰკითხა მან თავის მიმზიდველი ღიმილით.

— უსათუოთ! — მტკიცეთ მიუგო გრაფმა. — თქვენ ჩვენთვის მიუცილებელი საჭირო იყავით, მაგრამ აქამდის ვერ შემეგნო ეს... იმედი მაქვს, მეტს აღარ გვაცდევინებთ და ახლავე გადმოსახლდებით ჩვენსა.

XV.

დაბადების დღე.

ბენი თავის შვილიანა ისევ კალიფორნიაში გაემგზავრა; გრაფს დაუჯილდოვებლათ არ გაუშვია; კალიფორნიაში დამოუკიდებელი მდგომარეობის მოსახეებათ საყოფი ფული მისცა, აგრეთვე ტომის აღზრდისთვის საჭირო ფულის გადახდაც თითონ იკისრა. ტომი კარგ გავლენის ქვეშ გაიზარდა, პატიოსანი კაცი გამოვიდა და ამით მან დააიწყო მამას ყოველივე უბედურება, რაც კი თავზე გადახდებოდა.

დიკი და მისტერ გოზსი ინგლისში დარჩენ; დიკს გრაფმა განათლების მიღების საშუალება მისცა, გოზსი კი ცედრიკის დაბადების დღის დღესასწაულზე დასასწრებათ იცდიდა ინგლისში. ცედრიკს რვა წელიწადი უსრულდებოდა; იმ დღისთვის ყველა სოფლელები და გლეხობა დაპატიქებული იყვნენ წალკოტში დროს გასატარებლათ, საღამოს კი მთელი წალკოტი სხვა-და-სხვა ფერ ცეცხლებით უნდა გაენათებინათ და შუშხუნები აეშვათ.

— როგორც ოთხ ივლისს, ისეთი დღესასწაული იქნება! — აღტაცებით ეუბნებოდა ცედრიკი მისტერ გოზსს. — ნეტავი მართლა ოთხ ივლისს დაებადებულიყავი! თქვენთან ერთათ ვიდღესასწაულებდი ხოლმე ყოველთვის ამ დღეს!

გრაფი და მისტერ გოზსი მაინც და მაინც ვერ დამეგობრდნენ, რა წარმოსადგენი იყო, ამაყი და დიდებული გრაფი ვილაც მედუქ-

ნეს დაახლოვებოდა, გობსი კი მიჩვეული არ იყო დიდუცებში ყოფნას და გრაფთან ხმის ამოდებაც კი უძნელდებოდა. ის აღტაცებული იყო სასახლით, წალკოტით, ჭიშკარზე წამოქიმულ ლომებით, შვენიერი მცენარეებით, მაგრამ ყველაფერზე უფრო ვიწრო ზეგეულ სურათების-ოთახით.

— ეს უთუოთ მუზეუმი! — უთხრა მან პატარა ლორდს, რომელიც ყველაფერს ათვალისწინებდა.

— არა, არა მგონია! — გაუხედავთ მიუგო ცედრიკმა, — მუზეუმი არ არის! ბაბუამ თქვა, ჩემი ნათესაების სურათები არისო.

— ნუ თუ ამდენი ნათესაები ჰყავს? — გაკვირვებით წამოიძახა გობსმა და იქვე დაეშვა საეარძელზე.



ძლივს აუხსნა ცედრიკმა, ეს ახლანდელი ნათესაები კი არ არიან, გრაფის წინაპრები არიანო; საშველათ პატარა ლორდმა მელონიც მოიხმო და მელონიც გააგებინა მისტერ გობსს, რომელი იყო ამ ნახატებში გრაფის წინაპრების სურათები და რომელი — უბრალო ნახატები. გობსს ძალიან მოეწონა ყველა ესენი და ხშირათ მოდიოდა თავის სასტუმროდან მათ დასათვალისწინებლათ; ის მთელი საათობით იჯდა ხოლმე ლამაზ ქალების და მედიდურ კაცების სურათებს წინ და

ბუტბუტებდა:

— საკვირველება! ყველა ესენი გრაფები იყვნენ, ჩვენი პატარა ცედრიკიც გრაფი იქნება და ყველა ეს იმისი გახდება!

გულში ის კიდევაც შეურიგდა ინგლისელ დიდუცობას, ერთ-
 ხელ კიდევ გამოაცხადა:

— მგონი არც მე ვიტყოდი უარს გრაფობაზეო!

მისი მხრით ეს ძალიან დიდი დათმობა იყო!

დადგა როგორც იქნა პატარა ლორდის დაბადების დღეც. რა
 შეენიერათ, რა კარგათ გაატარა ცედრიკმა დრო! მორთული ხალ-
 ხით გატენილი წალკოტი შეენიერ სურათს წარმოადგენდა; აქა იქ
 კარეები იყო გაშლილი და ზედ საერო დროშები ფარფაშობდნენ.
 სტუმრები აუარებელი იყვნენ; ყველას უნდოდა ენახა პატარა ლორ-
 დი, მომავალი დორინკარტის მფლობელი და მისი ახალგაზდა, შეე-
 ნიერი დედა, რომელმაც კიდევაც მოიხვეჭა საერთო სიყვარული.
 გრაფსაც ახლა ყველა უწინდელზე უფრო სიყვარულით ექცეოდნენ;
 დიდი ხანია, ყველამ იცოდა, რომ მას სულით და გულით შეუყვარ-
 და პატარა შვილიშვილი, ახლა კი იმასაც ხედავდნენ, რომ რძალსაც
 შერიგებოდა. ამბობდნენ რომ რძალსაც სულ უფრო და უფრო უზ-
 ლოვდებოდა და ყველას იმედი ჰქონდა, ამ ორი საყვარელი ადამი-
 ანის გავლენით მალე სრულებით შეიცვლება და მორბილდებოდა.

წალკოტში გლეხები და სოფლელები იყვნენ, სასახლეში კი დი-
 დებუი სტუმრები, რომლებიც გრაფის მოსალოცათ და მისი რძ-
 ლის გასაცნობათ მოვიდნენ. მოვიდა ქალბატონი ლორიდელი თა-
 ვის ქმრით, შეენიერი ახალგაზდა ქალიშვილი, ვივიანი, და, რასაკვირ-
 ელოა, მისტერ ხევიშამიც. ვივიანი ფართე არშიებით მორთულ თეთრ
 კაბაში იყო; დაინახა თუ არა ქალიშვილი, პატარა ლორდი მაშინვე
 მისკენ გაექანა და აკოცა; ვივიანიც მოეხვია ბავშვს, მიულოცა დაბა-
 დების დღე და ორივე ერთათ ბაღში გავიდნენ სასეირნოთ; ცედრიკ-
 მა მაშინვე გააცნო ვივიანს ორივე თავის ძველი მეგობარი; გობსი ღ
 დიკი; ქალიშვილმა ზრდილობიანათ ჩამოართვა მათ ხელი და ამერი-
 კაზე საუბარი დაუწყო, გამოკითხა, როგორ იმგზავრეთ, როგორ მო-
 გწონათ ინგლისიო, ისე რომ ორივე ამერიკელი ალტაცებაში მოვი-
 დნენ ამ ინგლისელი ქალიშვილისაგან.

ყველა სტუმრები სიყვარულით უყურებდენ ცედრიკს, ყველა მხიარული იყო, ყველაზე მეტათ მხიარულათ და ბედნიერათ კი მოხუცი გრაფი გრძნობდა თავს; თუმცა ძალიან მდიდარი იყო და სახარბიელო ალავი ეჭირა სახელმწიფოში, მას აქამდის მაინც არ გამოეცადა ნამდვილი ბედნიერება, რადგანაც გულის აჩაფიჭველებია; რასაკვირველია, ასე უცებ ვერ გამოიცვლებოდა, და ისეთ კაცთ ვერ გადიქცეოდა, როგორათაც მის შვილიშვილი სთვლიდა; მაგრამ სამაგიეროდ მან გაიგო ამ ბოლოს დროს, რა იყო ნამდვილი სიყვარული, სიამოვნებას ხედავდა შვილიშვილის თაზნით კეთილ საქმეების ჩადენაში — და დასაწყისისათვის ესეც ბევრი იყო.

ამ დღეს გრაფი ყურადღებით აღევნებდა თვალს ცედრიკს, ამჩნევდა, როგორ უკრავდა ბავში სტუმრებს თავს, როგორ ელაპარაკებოდა გობსს და დიკს, როგორ იღვა და ისმენდა თავის მეკობრეების და ვივიანის ლაპარაკს და ყველა ამითი ძალიან კმაყოფილი დარჩა; მერე გრაფმა ბავში იმ კარავში წაიყვანა, სადაც სოფლელები ეახშამს კამდენ; ისინი გრაფის სადღეგრძელოს წრეულს ბევრათ უფრო მეტი ხალისით სვამდენ, ვიდრე უწინდელ წლებში; მაგრამ როცა მის სადღეგრძელოს მერე პატარა ლორდ ფაუნტელროის სადღეგრძელო წამოიძახა ვინცალამ, გაისმა ძმური საერთო „ვაშა!“ და ეს ვაშა რამოდენჯერმე გაიმეორეს ისევე იმავე აღტაცებით. ორმა-სამმა მოხუცმა ქალმა ნაზათ გადახედეს ცედრიკს, რომელიც ბაბუასა და დედას შუა იღვა და თვალცრემლიანებმა თქვეს ხმა ძალდა: „ღმერთმა დალოცოს და გაბედნიეროს ეს შვენიერი ბავშიო“.

პატარა ლორდი წითლდებოდა, ყველას თავს უკრავდა და თავს ძალიან ბედნიერათ გრძნობდა.

— მაგათ ყველას ვუყვარ ვარ მე, „ძვირფასო“! — ჩაუფურჩულა მან დედას. — რა მიხარია!

გრაფმა შვილიშვილის მხარზე ხელი დაადვა.


— უთხარი რამე, ფაუნტელროი, მადლობა გადაუხადე! — უთხრა მან.

ცედრიკმა ბაბუას შეხედა, მერე დედას შეაჩერა და დარცხევით იკითხა:

უსათუოთ უნდა ეთქვა რამე?

დედა მისმა და ვივიანმა ღიმილით დაუქნიეს თავი; მაშინ ბავშვმა ერთი ნაბიჯი წინ წაჰოძგა, მოაგროვა რაც კი გულადობა ჰქონდა და ხმა მაღლა თქვა:

— ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ, დღეს ძალიან კარგათ გავატარე დრო. ძალიან მიხარია, რომ ერთ დროს გრაფათ გავხდები და ვეცდები ბაბუასთანა კარგი გამოვიდე.



ისევ ატყდა აღტაცებული „ვაშა“-ს ძახილი. ცედროკი უკან დაიწია, თავისუფლათ ამოისუნთქა, მოჰკიდა გრავს ხელში ხელი და მიეკრა მას.

გობსს ისე მოეწონა ინგლისი და თავის პატარა მეგობრის მეზობლობა, რომ გაჰყიდა თავის ღუქანი ნიუ-იორკში და მის მაგიერათ ღორინკარტის ახლოს გახსნა ახალი. სასახლის პატრონები ჰქომაგობდნენ მას და მისი საქმე ძალიან კარგათ წავიდა.

ათ წელს შემდეგ, როდესაც დიკმა სწავლა დაამთავრა და ძმასთან, კალიფორნიაში წასვლა დააპირა, გამოთხოვების დროს გობსს ჰკითხა: ამერიკაში ხომ არ დაბრუნდებო. გობსმა ღინჯათ გაიქნია თავი და უპასუხა:

— ეგრა, აგრე შორს ვერ წამოვალ. მიუცილებელი საქიროა, რომ პატარა ლორდთან ახლო ვიყო და მფარველობა გაეუწიო მას.

კ—ტა.



საქართველოს
პარლამენტის
გამართლების
გამართლების

საქართველოს
გამართლების

აგერიპალი გავუი, ტალლო აპერი.



(თარგმანია)

ერც ერთ ქვეუანაში ვერ ნახავთ იმის-
თანა მდიდარ კაცს, როგორიც არის
ზოგიერთი ამერიკელი. იმის სიმდიდრე
სმირათ 100 მილიონს აღემატება.
მაგრამ, თითქმის ეველა მდიდარმა ამე-
რიკელმა ეს უთვალავი სიმდიდრე მხოლოდ თავის დაუ-
ღალავი შრომით და ჯაფით შეიძინა. სმირათ მილიონე-
ბის ზატრონ ამერიკელს სიუმაწვილეში ლუკმა ჰურისშო-
ვნაც უძნელდება, მაგრამ, აიღებს რა მიზნათ გამდიდრე-
ბას, ის დღე-და-ღამეს აერთებს, შრომობს, და ბოლოს
მიადწევს თავის მიზანს. ამისთანა მაგალითები ბევრია
ამერიკაში. მაგრამ იქავე ხან-და-ხან გამოჩნდება იმისთანა
კაციც, რომელიც მარტო თავისთვის არა შრომობს. მას
უნდა, სხვებსაც შესძინოს რაღაც და ღარიბ ხალხს ცხოვ-
რება გაუადვილოს. ღარიბი ხალხი-გი ამერიკაში მდიდარ-
ზე ბევრათ უფრო მეტია. მაშინ, როდესაც ერთი-ორი
ამერიკელი ათას მილიონებს ატრიალებს, მათ გვერდით
შიშშიღით ისოცება ათი-ათასი იმათი მოძმე. აი, ამ უკა-
ნასკნელების დახმარებას ცდილობენ ის ზოგი-ერთებიც,
რომელთაც თავის-თავს კარდა სხვაც ახსოვსთ.

ამერიკის დედა-ქალაქ ნიუ-იორკში, ცხოვრობდა, თავის დედ-მამასთან, ერთი თორმეტი წლის ბავში, რომელსაც სახელათ ტელლო აპერი ერქვა. ის სასწავლებლათ სკოლაში დადიოდა და კარგათაც სწავლობდა. ყოველ დღე, როდესაც აპერი სკოლაში მიდიოდა, იმას სვდებოდენ მძიერი, შიშველ-ტიტველი ბავშვები. აპერის ისინი ძალიან ეცოდებოდენ. ერთხელ იმან მოიყვანა სახლში ორი ფეს-შიშველა ქუჩის ბიჭი და ჩააცვა თავისი ძველი ფეს-საცმელები. მერე აპერიმ გადაწვეიტა, მშობლების დაუხმარებლათ ღარიბ ბავშებისთვის რამე მოსმარება აღმოეჩინა. ამისთვის მან დაიწყო ფულების მოგროვება: ის აკეთებდა თავის ხელით სხვა-და-სხვა სათამაშოებს და ნაცნობებში ჰყიდდა. აპერი ინახავდა აგრეთვე ყველა თავის ჯიბის ფულს, ისე რომ, ერთ წელს შემდეგ იმან თავის მოგროვილ ფულით გაუმართა ღარიბ მეგობრებს „ნადვის ხე“ (იოლკა). ამ დღეს აპერიმ დაჰხატია ოცი ქუჩის ჩამოდონძილი და მძიერი ბავში; კარგათ აჭამა, ტანთ ჩააცვა და ფეს საცმელები დაურია.

მაგრამ აპერი ამით არ დაკმაყოფილდა. იმან გადასწვიატა გამოეცა გახეთი, რომელშიაც უნდა დაბეჭდილიყო მხოლოდ საბავშო მოთხრობები, ბავშებისგანვე დაწერილი. ეს გახეთი უნდა ყოფილიყო შემაერთებული კავშირი მდიდარ და ღარიბ ბავშებთა შორის.

ამ საქმის დაწყებისთვის აპერის ჯერ მშობლებისაგან

ნება უნდა აეღო. როდესაც აწერებ მიმართა მათ, მშობ-
 ლებმა უპასუხეს, რომ არ დაუშლიან შვილს გაზეთის გა-
 მოცემას, მაგრამ დახმარებას კი ვერ აღმოუჩენენ. აწერი
 მაშინვე შეუდგა მუშაობას: მან შეაგროვა სკოლაში ამხა-
 ნატა შორის ფული, დასწერა თვითონ რამდენიმე მოთ-
 ხრობა, მოიწვია უფრო ნიჭიერი ამხანაგები და ერთ თვეს
 შემდეგ გამოსცა თავის გაზეთის პირველი ნომერი, რომე-
 ლიც დაბეჭდვინა 100 ცალი. გაზეთი ძალე გაიუიდა და
 აწერის წმინდა მოკება 12 მანეთი ღირსა. მაგრამ აწერი
 ამითიც არ დაკმაყოფილდა: მას არ შეეძლო ისეთი ჰატარა
 გაზეთის მოკებით, რომელიც თვეში ერთხელ გამოდიოდა,
 გამოეკვეთა და ერჩინა ეველა თავისი ღარიბი მეგობრები,
 ერთ წელს შემდეგ მან მიმართა სახელოვან ამერიკელ მწერალ,
 გაუხს, და თხოვა დახმარება. გაუხმა უმოგნა მას ერთი მდი-
 ღარი კაცი, რომელმაც ასესხა 200 მანეთი გაზეთის გასა-
 დიდებლათ. საქმე ჩინებულათ წავიდა. გაზეთი გადიდა
 და უფრო ხშირათ გამოდიოდა. ახლა აწერის ფული აღარ
 უჭირდა და მან ძალე გაისტუმრა თავისი მოვალე.
 თავის გაზეთში აწერი დაუღალავათ შრომობდა: იგი
 იყო მისი რედაქტორიც, გამომცემელიც, თანამშრომელიც
 და გამსწორებელიც. მაგრამ, ეველა ეს აწერის სკოლაში
 კარგათ სწავლას არ უშლიდა. ხუთ წელს შემდეგ აწე-
 რის საქმე ისე წავიდა, რომ მას შეეძლო დაერიგებინა
 თავის ღარიბ მეგობრებისთვის 11 ათასი ცალი ტანის-

მოსი, ფეს-საცმელი და ფულათ 8,000 მან. მაგრამ ევე-
ლასე კარგი ის იყო, რომ აწერიმ თავის ნაწერებით გა-
ზეთში გამოიწვია ეოველმსრით შემოწირულებანი და აი
ფულით მან გაუძარტა თავ-შესაფარი უსახლ-კარო ბავშებს.
ამ თავ-შესაფარში არის სამკითხველო და ღარბაზი, სა-
დაც ბავშვები თამაშობენ და თავს ირთობენ.

ამის გარდა ტელლო აწერიმ შეადგინა ამხანაგობა რა-
მდენსამე ათას ბავშვებ შორის; ეოველმა მათგანმა ერთი
სათი მანც კვირაში უნდა იმუშავოს ჩამოკონკილ ამხა-
ნაგების სასარგებლოთ.

ირაკლი.



ორი მგელი: ედიშარა და გიშარა.




III.

ზავიდა ერთი წელიწადი და ბურღუკა ლეკვი ვეებერთელა ბანჯკვლიანი ძაღლი გახდა. როგორც აზიხათ ხელზე ლუკმით გამოზდილი, ის მეტის მეტი მსუნაგი რამ გამოვიდა. საცა არა ძგონია ცხვირს წაჭეოვდა; ქვას ქვეშ ადარას უშვებდა, რასაც კი თავის საბილოს მოახელებდა. ეს ძალიან აწუხებდა ედიშერას და კვალში უდგა, რომ როგორმე მოეშლევიინებინა ამ გვარი „ავხელობა“, „ხელ ბრუდობა“, მაგრამ ვერ ასერსებდა ამას, რადგანაც მათი მეგობრული განწყობილება და სიუვარული მეკათ მკვიდრათ იყო შეკავშირებული. ისინი განუწყრელათ ერთათ დასეირნობდენ, კუდი კუდსა სდევდენ ერთმანეთს.

უნდა გენახათ, რა სიამოვნებაში და შექცევაში იყო ბავში ამ სეირნობის დროს! საუვარელი ოთხუფხი რომ

წინ კუნტრუშით მიუბრუნდა და სან აქეთ მიემალეობდა, ხან იქით გადაუსვებდა; აქ ფრინველებს დააფთხობდა და ააფრენდა ჯაგებიდან; იქ ზღარბებსა და მინდვრის დიდ-რონ თაგვებს გამოაცდებდა სოროებიდან და სინარულით მიუბრუნებდა თავის ბატონს, ობოლს ასე ეგონა მთელი ქვეყანა ჩემი...



ედიშერა სრულიად გამოიცვალა, სულ სხვა გახდა. ახლა იმას მეგობარი გაუჩნდა, რომელსაც ის უყვარდა, თვალ-წარბში შეცქეროდა. ეს იყო, ზატარა „კუდქიცინა“ და „შავეურა“ გიშერა გადმოდგამდა თუ არა სკოლის კარებიდან ფეხს, ის იქვე ქუჩაში მსიარულის ეეფითა და ლაქუცით მიეტოტინებოდა თავის ერთგულ მეგობარს, ულოკავდა ხელ-ფეხს, ჩამოართმევდა აბგას და გოგბანით

წინ მიუთამაშებდა... ჭეშმარიტი მეგობრის ყოლამ გადა-
აკეთა ბავშვის ნორჩი გული და ხასიათი...

ბოროტმა ამხანაგებმა დაატყეს, რომ დაცინვით ველ-
რასა ხდებოდენ ედიშერასთან ღ ახლა სხვა ფიქრმა გიელუ
იმათ თავში, სხვა უკეთურმა განზრახვამ იზოვა ალბი
იმათ გულში. მათმა გამჭრიახმა გონებამ ახლა გიშერას
გადამტერება და მისი წამება გადასწევითა, რომ ამითი
მანც ამოეყარათ იმის ჰატრონის ჯაფრი.

რამდენ ღონის ძიებას არა ჭეშმარიტად თბოლი თ-
ვის საუფარელ მეგობრის გასაფთხილებლათ, მაგრამ დღე
არ გავიდოდა, რომ ძაღლისთვის რაიქე სიფათი არ შეე-
მთხვიათ, რამე განსაცდელში არ ჩაეგდათ!..

უველაზე შეუბრალებელი მტარვალი ამ შემთხვევაში
გამოვიდა ერთი გლეხის ბიჭი, აგორა, ანუ „ქვასროლია“,
როგორც იმას ეძახოდენ...

მთელი სოფლის ბიჭების ბელადი იყო ქვასროლია
და ამასთან მეტრს მეტი მოუსვენარი. რიყრაყიდან მოკი-
დებული ხშირ ბინდამდის იმისი ფეხი არ გაჩერდებოდა,
ხმაურობა არ მიწედებოდა: მთელ სოფელს გარს ურბენ-
და და იმის გადაძვიდე კაკლებსა და სხვა ხეხილებს ტო-
ტები აღარ რჩებოდნენ; უვაგებსა და კაჭკაჭებს ბუდე ვეღარ
გაეკეთებინათ; გზაზე ვაჭარ ურიებს თავისუფლათ ვეღარ
გაევლოთ; ნახირი ვერ გაერეკათ. ის მუდამ შეიარაღებუ-
ლი იყო შურდულითა და უბე-ჯიბე ქვებით გამოტენილი

დაჭკონდა. ძალიან უუვარდა და გავარჯიშებულიცა ჭკონდა ეს
ხელობა: იმისი გასწოლილი ქვა ბუსსაც არ აცდებოდა.
ამისთვისაც უწოდეს მას სახელათ „ქვასწოლია“...

ვინ იცის, რას არ ჩადიოდა ეს ბოროტი ქვასწო-
ლია საცოდავ გიშერას სატანჯველათ!.. ხან მთელი უბ-
ნის ძაღლებს მიუსევდა და ერთი ეიჟინითა და იერიშით
თავს დაესხმოდა, იფრენდა და გამოუდგებოდა საწუალ
კუდ ამოძეებულს; ხან მღუღარე წეალს გადასხამდა გასა-
ფუფქათ, ხან კალთაში მოგროვებულ ქვასა და ლოდს და-
აურიდა სეტყვასავით, რომ იქნება მოეკლა, ან დაესახიჩ-
რებინა... გიშერამაც იცოდა ამისი სასიათი და სათოფე-
ზე არ ეკარებოდა, თუ კი ივალს მოჭკრავდა. იმას კარ-
გათ ახსოვდა, რომ ქვასწოლიას გამონასწოლი ქვა ერთ-
ხელ ზედ მუხლის კვირისტავზე მოხვდა, ერთ კვირაზე მე-
ტი აკენესა და ფეს აკაუჭებული დაღახლახნებდა!.. მაგრამ
ზოგჯერ მაინც კიდევ ეშმაკი ბიჭის მსხვერპლი ხდებოდა...

ერთ დღეს ედიშერამ გაკვეთილი არ იცოდა. მასწავ-
ლებელმა ის რამდენიმე ხნით სკოლაში დატოვა. როდე-
საც გამოვიდა შეგირდი სკოლიდან თავისი ძაღლი იქ აღარ
დახვდა. დაუწყო აქეთ-იქით ძებნა, მახილი, მაგრამ ძაღ-
ლი არსად ჩანდა; ობოლს გულმა კანკალი დაუწყო. შურ-
დულივით გაექანა სოფლისკენ და „გიშერა, გიშერა! სადა-
ხარ, ჩემო კარგოვო!“, ჭევიროდა, ამის ევირილს მთა და
ბარი ბანს აძლეოდა... უცებ, ვნახოთ, ქვასწოლიას ეზოდან

გამოფარდა გიშერა და გულსაკლავის წუწკუნით მოეხვია თავის ჰატრონს. გულგახეთქილი ძაღლი ძლივსღა ქმინავდა, ჰირიდან ქაფებსა ჰქერდა, ოფლის სვითქი გადადიოდა და თან ჩხარა-ჩხურით რაღაც სიმძიმეს მოათროკიბლებდა კუდით... ეტეობოდა, კარგ დღეში არ ჩავარდნილიყო, საწული გიშერა!..

ედიშერამ ჰატარა ბავშვივით სელში აიუვანა, მოხსნა აკვნის ჩანჩხურასაებ კუდზე თოკით შებმული გატეხილი თუჯის ქვაბი და თვალის დახამსამებაში ქვასროლიან ეზოში გადაისროლა. აქ იმას ბიჭების გულიანი ხარხარი და სრიანცელი შემოესმა. შუაში შედიდური სახით ქვასროლია ჩამდგარიყო და თავგამოდებული ბაქიაობდა.

— ეკ სომ შენი ოინი, შე იუდა! შეჭვეირა ქვასროლიას, აღელვებულმა ობოლმა და შიგ ფეხებში ესროლა ქვაბი.

არავინ არ მოელოდა გაუბედავი ობლისაგან ამ გვარ გაბედულობას და ეველანი შეკრთენ. ქვასროლიაც თითქო გამობეცდა, მაგრამ რომ არ დაეკარგა თავისი დირსება, დიდკულათ მაუგო:

— შენ თვითონ, იუდა, რას იეფებ?

— იმას, რომ არ დაგაბრიევებინებ, არ გაწვალებინებ ჰირუტევს, რომელიც შენ არას გიშავებს!..

— აბა ერთი სცადე და კაი ბიჭი იქნები!..

— ვცდი და აგისრულებ კიდევ!..

— ვერ უუერებთ, რა ეოფა აქეს ამ „მოთრეულს!..“
მაწანწალა!.. სათოკე!.. საციმბირე!.. საბორკილე!.. დააუარა
და დააუარა სეტყვასავით აგორამ...

— იუდავ! იუდაჟ!.. ვაჰმევე!.. კბილების კრატუნით დაი-
ღრიალა ობოლმა და ეელში სული მოებჯინა!.. მაგრამ
თავი შეიკავა, გაჯავრებული მოტრიალდა და სასლისკენ
გასწია.

— დაიცა, ჯერ მამახემს ვუთხრა! გაჩვენებს შენ თა-
მამას! მუქარით მიამახა ქვასროლიამ.

— შენც ღმერთმა შეგარცხვინა და მამა შენიცაო, უზა-
სუსა ობოლმა.

ამ ჰასუსის ჰასუსათ იმას შემოესმა გასროლილი ქვის
ზუზუნნი... ედიშერას მხრებზე ნებოვრათ გაწოლილ გიშე-
რას წაეკმელებინა კისერი, წაეშვირა დინგი და თვალე-
ბაჟეტილი, ცნობის მოუვარეობით უკან-უკან გამოიცქირე-
ბოდა. მარჯვე ხელით ნატეორცნი ქვა შიგ ამ დინგში
მოხვდა საცოდავ პირუტყვს. მან განწირულების სმით შე-
ღრიალა „ვაიმე დედავ მოვკვდიო“ და გაიწ-გამოიწია გა-
საშეებათ. ახლა კი აივსო მოთმინების საწებაული და სი-
ბრახისაგან სახე დაემანჭა ედიშერას. ის ციბრუტივით მო-
ტრიალდა, ჩამოსვა ძირს ძაღლი და ეძგერა ქვასროლიას...
აგორა 14—15 წლის ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი და ღო-
ნიერი ბიჭი იყო, ედიშერა კი — სუსტი 11 წლის ბაღ-
დი. ბრძოლა უთანასწორო იყო და ამიტომაც ედიშერა

იმწამსვე ლავაშივით გააკრა მოწინააღმდეგემ დედა-მიწაზე. ამოიღო ქვეშ და ბუბნა დაუწყო. ქვასროლიას ფიქრათაც არ მოსვლია, თუ იმის სუსტ მტერს ქომაგი და მაშველი ვინმე გამოუჩნდებოდა. გიშერამ რომ დაატყო, საქმე ცუდით არისო, ჩემი ჰატრონი დაიბრიყვესო, დაფაცურდა. „ძმა მშისთვისა, ამ დღისთვისაო“, იფიქრა ერთგულმა ჰირუტეებმა და გაჰყრა-გამოჰყრა თავისი ბასრი კბილები ქვასროლიას რბილ კუნთებში... ამასობაში ედიშერაც წამოხტა და სანამ იმისი მტერი გონებას მოიკრეფდა, ოთხ ფეხი და ორ-ფეხი მეგობრები სამშვიდობოს იუვენ, ხევეს გაღმა...

ქვასროლიას შავი კუნაპეტივით სისხლი გადმოსდიოდა, სანამ ძაღლის კბილებით ამოგლეჯილ სორცხე მძლავრის ბაღანსა და ლობიოს მარცვალს დაადებდნ.

IV.

ამ დღიდან გიშერას დამწევდევა სჭირდებოდა, როცა თბოლი სკოლაში მიდიოდა. მაგრამ მოუსვენარ ძაღლს ოთხ კედელ შუა მარტოკას რა დაეენებდა! ის ხვლიკივითა ძვრებოდა, ცხრაკლიტულშიაც რომ დაემწევდიათ „ჰუ-ჰლუც“, ფეხებში კი გადაედობებოდა სკოლიდან გამოსულ თავის მეგობარს.

ასლა კი ჰკუხა ისწავლა ძაღლმა: „ბასრი კბილე-

ბი ღმერთს ტუუილა კი არ მოუციაო“, იფიქრა იმან და
არა ერთხელ და ორჯერ აწვნევინა იმისი გემო თავის
მტარვალებს!

ერთ შვენიერ დღეს ჩვენმა გიშერამ სწორეთ თავი ისა-
ხელა. იმან გამოამტვრია ბოსლის კარები, სადაც ჩვეულებ-
რივ დაემწევდია ედიშერას სკოლაში წასვლის დროს და
დაუბრა სოფელს: არც ერთი ეხო და სახლი არ დარჩა
დაუთვალიერებელი, იქნება რამეთი ჰირი ჩავიტკბანუროვო
და მართლაც ჩავიტკბანურა. იმ დღეს ქვასროლიანთსა,
რბდაც შემთხვევით საკლავი დაეკლათ. ასო-ასოთ
დაჭრილი მსუქანი სორცი დაელაგებინათ თახჩაში. გიშე-
რას მგრძნობიერ ენოსვას შორიდან ეცა სორცის თბილი
ოხშივარის სუნი, ჰირში ნერწევი მოუვიდა და გადაწევიტა:
რბდა ძაღლი ვიქნები, თუ ერთი იმითი მუცელი არ ამო-
ვიყორე და ფერდები არ ამოვიმსეო! და გაექანა სახლი-
საკენ... კარზე ჭაჭანება არავინ იყო. ფეს აკრეფით მიი-
ზარა ღია კარებსამდის და ცალი თვალით შეიჭუჭუტა. იქაც
არავინ იყო: ზოგი წელის მოსატანათ გამოსულიყო, ზო-
გი შეშისა. „მოდო და ნუ ისარკებლებ ამ შვენიერი შემ-
თხვევითაო“, გაიფიქრა მსუნაგმა და შეჭეო თავი კარებში.
მივიდა თაროსთან, აიფაუა უკანა ფესებზე, გადმოიღო
ერთი ფეშხო და აითრია... კარეთაც ისევ მშვიდობით გა-
მოვიდა, შეუმჩნევლათ და სმურწა ალაუაფის კარებისაკენ.
ქვასროლია ამ დღეს სკოლაში არ გაეკზავნათ და სწო-

რეთ ამ დროს, ქვაბით ხელში შინ შედიოდა. ძაღლმა რომ თვალი მოჰკრა ქვასროლიას, ერთი უსიამოვნო ემოილი ამოუშვა და ფეხს აუჩქარა. იღბალი მისი, რომ ქვასროლიას კალთაში ან უბეში ქვა არ ჰქონდა იმ დროს, თორემ სათოფეზედაც რომ ეოფილიყო გიშერს უსიფათოთ ვერ გადარჩებოდა. ძაღლის წუწკუნის შემოესმა აგორას და ეურები ცქვიტა, მაგრამ სანამ ქვას დადგამდა და მობრუნდებოდა, გიშერამ უკანა ფეხებიც გადადგა კარებში და აგორასაკენ ბანჯგვლიანი კუდილა ჰქონდა მიშვერილი.

— აზგამ, აზგამ! შე ვერანო, შენა! ვერ წახვალ! არიქნა მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანები, ძაღლმა სორცი მოიტაცაო! — იუვირა და იუვირა ქვასროლიამ და ამ ევირლით შესძრა ცა და ქვეყანა! ფინთისივით გაექანა ალაფის კარებისაკენ, გზა-გზა წამოჰკრიფა ქვები, ჯოსები, კეტები და სეტყვასავით მიაყოლა და მიაყოლა ქურდ-ბაცაცას, მაგრამ შენც არ მომიკვდე! გვიანდა იყო! „ვერ წახვალ“ კი არა, მეტიცა ჰქნა: გიშერამ დროზე უშველა თავს!..

— ვაჰმეე! ერთი ხელში ჩამეგდო შენი თავი, ან რამე მჭეროდა ხელში და ერთი დღის სიცოცხლე არა მქონოდაო! გულში ხელის ცემით სწუხდა, იმუქრებოდა ქვასროლია და ისევ იმის გზას გასცქეროდა: დამაცა შე საგლე, შენაო!..

იმ დამეს, ვახშმის დროს, ქვასროლიანთსა გიშერას

ოინბახობაზე იყო ლაპარაკი, სჯა და თათბირი. ქვასრო-
ლიამ მთელი თავისი მჭერ-მეტყველობა გამოიჩინა და ხე-
ლოვნურათ დაასურათა „სამკლე“ ოთხფეხის დღევანდელი
და ადრინდელი ჩადენილი ოინები.

მამამ მოისმინა შვილის საჩივარი, აწონ-დაწონა და
ასეთი განაჩენი გამოაცხადა.

— მაგას რა დიდი ლარი და ხაზი უნდაო: ერთი დი-
დი ქვა ეელზე, ღურღუმელი წვალი და მისი ჯანიო!..

თავისი დაბადება არ გახარებია ქვასროლიას ისე,
როგორც ეს აზრი... დარჩობა!.. ეელზე ქვა!.. ღურღუმე-
ლი წვალი!.. სწორეთ ამისი ღირსია, ის უპატრონო, ისა.
რა სეირი იქნება და!.. უუურე მაშინ ედიშერას გაჯავრე-
ბას!.. ჭეჭობდა ქვასროლია და იმ ღამეს სიზმარმაც
ნახა, როგორ ახრჩობდენ ისა და ბიჭები გიშერას...

მეორე დღეს ქვასროლიამ დილა ადრინა გაუზიარა
ეს გადაწყვეტილება თავის ტოლ-ამხანაგებს, რადგანაც უი-
მათოთ ძნელი მოსაუვანი იყო სისრთლეში ასეთი მძიმე
საქმე და ამასთან არც უნდოდა მოჰკლებოდენ ამისთან-
ა იშვიათ სანახაობას და სიამოვნებას იმისი მეგობრები...

საერთო რჩევით დაადგინეს ბიჭებმა შემდეგი: შეიტ-
უილონ ოთხფეხი რომელსამე ეზოში და ჩაუკეტონ კარე-
ბი, მერე დაჭერა ადვილია. ეველაზე სამხელო ის აღმოჩნ-
და, თუ რა დრო შეერჩიათ, რადგანაც ედიშერა მეტათ
ადევნებდა თვალებს, კუდში დასდევდა თავის ძაღლს. მარ-

თალია, იმას მაშინ დაიმარტოხელებდენ, როცა მისი პატრონი სკოლაში იქნებოდა, მაგრამ ამ დროს ხომ თითონაც იქ უნდა ყოფილიყვნენ! მეტი გზა არ იყო, უნდა გადედგათ ამ საქმის სისრულეში მოუვანა სხვა შემთხვევადის. მათდა საბედნიეროთ, ამ შემთხვევამაც არ დაგვიანა. ორ დღეს შემდეგ ედიშერას ერთი საათით სკოლაში დარჩენა მიუსაჯა მასწავლებელმა. გიშერას მთელ საუკუნეთ ეჩვენა ეს ერთი საათი. (ქვასროლისა და იმის დამქმშებს კი ახალ-წელიწადი გაუთებდათ). როდესაც ედიშერა გამოვიდა სკოლის ეზოდან და გიშერა იქ ველარ დანახა, თავ ზარი დაეცა, მიიღბინა საჩქაროთ შინ, მაგრამ არც იქ დაუხვდა. აქედან გაექანა სოფელში სამეძნელათ. ერთ ალაგას იმან უცებ თვალი მოჰკრა ორ ბიჭს, რომლებიც თავზირის მტვრევით წელისაკენ გარბოდნენ.

